საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი, გვარი: გიორგი ვეფხვაძე

თარიღი: 29.04.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ **აპრილი, 2024 წ.** **ქ. თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლაშა თავართქილაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის ღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **ლაშა თავართქილაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 29 მარტს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**ლაშა თავართქილაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **ლაშა თავართქილაძე** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლაშა თავართქილაძის** კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი ნოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **ლაშა თავართქილაძის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ლაშა თავართქილაძის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს როგორც სამოქალაქო, ისე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის X ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 30-ე ადგილი.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ლაშა თავართქილაძეს აქვს პროფესიით მუშაობის ხანგრძლივი, მათ შორის,

მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა კარგი ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.

მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

ლაშა თავართქილაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია მოსამართლისთვის სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმა და მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემა. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ლაშა თავართქილაძეს აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საჯარო მოსმენაზე იყო საკმაოდ მობილიზებული, თუმცა შეიმჩნეოდა მღელვარებაც. მიუხედავად ამისა, ნათლად და გასაგებად გამოსცემდა საკუთარ შეხედულებებს და არგუმენტირებულ მსჯელობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლაშა თავართქილაძეს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

ლაშა თავართქილაძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის თებერვლიდან - 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 90,2%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 84,5%-ს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.</u>

<u>ასევე შეფასების მომენტისთვის მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ან პუბლიკაციის შესახებ, ინფორმაცია არ მოიპოვება.</u>

<u>საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:</u>

- კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით (2007 წლის მაისი)
- კანდიდატს ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2006 წლის ივლისი)
- ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2003 წლის თებერვალი)

- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
  - **ლაშა თავართქილაძე** იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-10 ჯგუფის კურსდამთავრებულია.
  - ჯგუფში დაიკავა მეხუთე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში -30-ე

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ლაშა თავართქილაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

- სემინარი - იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები“ 29 ივლისი - 1 აგვისტო, 2022 წ. - ბათუმი.

- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU), ევროკავშირის საერთო სასამართლოსა (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილებების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი კრებულის პრეზენტაცია - 11-12 ნოემბერი, 2022 წ. - ბორჯომი.
- „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის" (BRIPA) მიერ გადახდისუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე - 1 და 3 დეკემბერი, 2022 წ. - თბილისი.
- იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროცესთან დაკავშირებით" - 11-12 თებერვალი, 2023 წ.
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები" - 14-16 ივლისი, 2023 წ. - კახეთი.
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ" - 28-30 ივლისი, 2023 წ. - ბათუმი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლაშა თავართქილაძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ლაშა თავართქილაძე <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>88</u>** (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი